



საქართველოს  
ჟურნალისტური  
ეთიკის ქარტია

საინფორმაციო ბიულეტენი #2017-2


მის: შიო მღვიმელის ქ.#6ბ  
e-mail: ethicscharter@gmail.com

საერთო კრიზის საზოგადოებრივ სარჩევად დანახებული  
კვლევები არ გააუქმებ

საზოგადოებრივ საქმიანობა

Q1 გაუქმდეს თუ არა ქარტიის საბჭოში  
ასარჩევად დანახებული კვლევები რეგიონის  
და დედაქალაქის ჟურნალისტებისთვის?

Answered: 214 Skipped: 0



ქარტიის 315 წევრიდან ელ.კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 214-მა. უმრავლესობამ (58,88%) მიიჩნია, რომ საბჭოში ასარჩევად საჭირო კვლევები უნდა შენარჩუნდეს. მოქმედი წესდებით, ყოველ წელს რეგიონში მომუშავე 2 და დედაქალაქში მომუშავე 1 ჟურნალისტი 3 წლის ვადით აირჩევა. საერთო კრებამ ამავე კენჭისყრაზე ფართოდ განმარტა წესდების არსებული ჩანაწერი და სარევიზიო კომისიის წევრს არ ექნება უფლება რაიმე ანაზღაურება მიიღოს ქარტიიდან.

საბჭომ გამოაქვეყნა 8 გადაწყვეტილება შემდეგ საქმეებზე:

- სახალხო დამცველი გიორგი მგელაძის წინააღმდეგ
- WISG და EMC სოფო მთივლიშვილის წინააღმდეგ
- გიორგი ტატიშვილი სოფო მთივლიშვილის წინააღმდეგ
- ბექა გაბადაძე თეა ადგიშვილის წინააღმდეგ
- გიორგი ტატიშვილი ირაკლი მანაგაძის წინააღმდეგ
- საია ირაკლი კვიციანიშვილის და თამარ ჩერგოლიშვილის წინააღმდეგ
- გიორგი გაბრიაძე ლერი კვაჭანტირაძის წინააღმდეგ
- PHR-ი ნანიკო ხაზარაძის, სოფიკო ნარჩემაშვილის, ეკა ამირეჯიბის, ლელა მეტურიაშვილის და თამარ ღვინიაშვილის წინააღმდეგ

ქარტია ჟურნალისტებისთვის ტრენინგი გამართა



ქარტიამ გამართა ტრენინგი სასამართლო პროცესების გაშუქების შესახებ. ტრენინგებზე მოწვეულნი იყვნენ ნათია წვეპლაძე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ყოფილი მოსამართლე და გიორგი მგელაძე სტუდია „მონიტორის“ გამომძიებელი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე. ტრენინგში მონაწილეობა 21 ჟურნალისტმა მიიღო

ქარტიამ გამოაქვეყნა 3 განცხადება შემდეგ საკითხებზე

- საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ჟურნალისტ ლაშა მესხის დათხოვნაზე
- საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით
- სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს [რუსთავი 2-ის საქმეზე](#)

### ქარტიამ მონაწილეობა მიიღო თვითრეგულირების ორგანოების შეხვედრაში



მედიის თვითრეგულირების ორგანოების ქსელის შეხვედრა კიშინიოვში, მოლდოვაში გაიმართა. უახლესი ეთიკური გამოწვევების და ქარტიის პრაქტიკის შესახებ მოხსენება გააკეთეს საბჭოს წევრმა მაია მეცხვარიშვილმა და მდივანმა, დავით კლდიაშვილმა.

### პროექტი Meciachecker.ge გაგრძელდა



„ფონდ დია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი „მედიაჩეკერი“ განახლდა. მედიაჩეკერი არის მედიაკრიტიკის პლატფორმა, სადაც ბეჭდური, ტელე და ონლაინმედიის მონიტორინგის შედეგებია თავმოყრილი.

### ამოქვეყნდა პროკაბანდასთან დაკავშირებული მედია მონიტორინგის შედეგები



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიაორგანიზაციებმა შეაჯერეს ის ძირითადი, 44 გზავნილი, რომელსაც რუსული პროპაგანდა იყენებს. ორგანიზაციები მათ გავრცელებას საკუთარ ქვეყნებში დააკვირდნენ. საქართველოში პარტნიორი ორგანიზაცია იყო ქარტია.

### ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ითარგმნა



ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ECHR-ის გადაწყვეტილებები ითარგმნა, რომლებიც მედიასა და გამოხატვის თავისუფლებას ეხება. გადაწყვეტილებები [www.mediachecker.ge](http://www.mediachecker.ge)-ზე გამოქვეყნდება

### ლიბცენტრის ახალი ჯგუფი დააკომპლექტა

ქარტიამ “ლიბცენტრის” ახალი ჯგუფი დააკომპლექტა. კონკურსის წესით შერჩეული 20 სტუდენტი მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში იმუშავებს და სამოქალაქო ჟურნალისტიკის უნარებს შეიძენს. მათ უკვე გამოაქვეყნეს არაერთი ბლოგპოსტი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მოამზადეს ფოტორეპორტაჟი რამდენიმე აქციიდან, ჩაწერეს გამოკითხვები. ლიბცენტრის ორგანზებით გაიმართა რამდენიმე საჯარო ლექცია, რომელსაც ასამდე სტუდენტი ესწრებოდა.

